16/01/2021

# “მეცნიერების წინსვლა, რომელიც ადამიანს ემსახურება, ყოველთვის არის ღვთისგან კურთხევა და საჩუქარი” – პირეის მიტროპოლიტი

image not found or type unknown

2021 წლის 15 იანვარს საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარმა, პირეის მიტროპოლიტმა სერაფიმემ კორონავირუსის საწინააღმდეგო Pfizer-ის ვაქცინა გაიკეთა.

ვაქცინაციის შემდეგ მიტროპოლიტმა სერაფიმემ მადლობა გადაუხადა საბერძნეთის ჯანდაცვის სამინისტროსა და ექიმ ალფიერს განუცხადა: “მადლობელი ვარ, ექიმო! ძალიან დიდი მადლობა! გისურვებთ ძალას ამ დიდი საქმისთვის, რომელსაც აკეთებთ!”.

ექიმმა ალფიერმა თავის მხრივ უპასუხა: “დიდი კურთხევაა დღეს ყველა ჩვენგანისთვის, ვისაც ვაქცინაციის შესაძლებლობა მიეცა. გასვლა და შიშების გარეშე გახსნილი თვალით სამყაროს ახლა ვუყურებთ. დიდი შესაძლებლობა ყველა ბერძენისთვის, მთელი საბერძნეთისთვის, რათა საბოლოოდ გავექცეთ ამ ტანჯვას. ჩვენ ყველას მოვუწოდებთ, ზუსტად იგივე გააკეთონ “.

— wenews.ge